აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №16

18/11/2024 წელი **ქ. ბათუმი**
12⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე - **პარმენ ჯალაღონია.**

სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მელაძე - უსკოს თავმჯდომარის მოადგილე;

ტარიელ გოგიტიძე - უსკოს მდივანი;

ირაკლი გვარჯალაძე - უსკოს წევრი;

მარიამ გუგუნავა - უსკოს წევრი;

თამარ ქამადაძე - უსკოს წევრი;

ციალა შავაძე - უსკოს წევრი;

ზაალ ზაალიშვილი - უსკოს წევრი;

სულხან ტაკიძე - უსკოს წევრი - პ/გ „კი ევროპას-სტრატეგია აღმაშენებელი“;

დავით ქარცივაძე - უსკოს წევრი - პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

ემზარ თოდუა – უსკოს წევრი - პ/გ „ევროპელი სოციალისტები“;

ივანე ფირცხალაიშვილი – უსკოს წევრი - პ/გ „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“;

სალომე რაზმაძე - კომისიის წევრი - პ/გ „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“;

ზურაბ გოლიაძე - კომისიის წევრი - პ/გ „გირჩი“;

კახაბერ ჯაიანი - კომისიის წევრი - პ/გ „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“;

გიორგი ხოკერაშვილი - კომისიის წევრი - პ/გ „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“.

არ ესწრებოდა:

ავთანდილ იაკობიძე – უსკოს წევრი - პ/გ „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“.

აგრეთვე ესწრებოდნენ:

სულხან ჩოგაძე - საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
ფრიდონ ბათნიძე - იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგების შეჯამება;

2. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჯაიანმა, ზურაბ გოლიაძემ, სულხან ტაკიძემ და ივანე ფირცხალაიშვილმა.

კახაბერ ჯაიანმა, ზურაბ გოლიაძემ, სულხან ტაკიძემ და ივანე ფირცხალაიშვილმა აღნიშნეს, რომ არ აპირებენ წარმოდგენილ დღის წესრიგს მხარი დაუჭირონ, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ საარჩევნო პროცესი და კენჭისყრა მიმდინარეობდა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევით (ამომრჩეველზე ორი ბიულეტენის გადაცემა, მარკირების პროცედურები, თავისუფალი ნების გამოვლენა, ხმის მიცემის ფარულობა და ა.შ.). კახაბერ ჯაიანმა აღნიშნა, რომ უსკოს საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, ჯერ

კიდევ აქვს ვადა შედეგების შეჯამებისათვის (2024 წლის 21 ნოემბერი) და ითხოვა უმაღლესი საბჭოს არჩევნების შეჯამებამდე გახსნილიყო ვერიფიკაციის აპარატები, ამოღებულიყო ამომრჩეველთა სიები, დადგენილიყო ქვითარზე ხელმომწერი პირები იყვნენ თუ არა იმ უბნის ამომრჩეველთა სიაში და თუ იყვნენ მისულები არჩევნებზე.

ზურაბ გოლიაძე, სულხან ტაკიძე და ივანე ფირცხალაიშვილი სრულად იზიარებენ კომისიის წევრის, კახაბერ ჯაიანის მოთხოვნას და მიაჩნიათ, რომ აღნიშნული ქმედებით გაცემული იქნებოდა პასუხები საზოგადოებაში არსებულ კითხვებზე.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, განმარტა, რომ საარჩევნო კომისიებში და სასამართლოებში განხილული იქნა საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეების მიერ წარდგენილი ყველა განცხადება/საჩივრები და საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა პროცედურა დასრულებულია, რის შემდეგაც კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 10 ;

წინააღმდეგი 6;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 16 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგების შეჯამება.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, უსკო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმებისა და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებების საფუძველზე, არჩევნების დღიდან არაუგვიანეს 26-ე დღისა, თავის სხდომაზე აჯამებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგებს, რის შემდეგაც სთხოვა უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივანს, ტარიელ გოგიტიძეს, გაეცნო კომისიის წევრებისათვის და დამსწრე საზოგადოებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგები.

ტარიელ გოგიტიძემ, კომისიის წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის მონაცემები.

- ✓ **ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა:** **317 119**
- ✓ **არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა:** **201 572**
- ✓ **ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა:** **9 653**
- ✓ **საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, პროცენტი და მიღებული მანდატების რაოდენობა:**

№	პარტიის დასახელება	მიღებული ხმების რაოდენობა
4	კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა	16 115
5	„ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“	27 369
6	„ევროპელი დემოკრატები“	1 004
8	„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	2 538

9	„ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“	12 118
12	„ჩვენი გაერთიანებული საქართველო“	714
20	თავისუფალი საქართველო	985
21	ტრიბუნა	452
25	„გახარია საქართველოსთვის“	16 555
36	„გირჩი“	3 805
41	ქართული ოცნება	110 232

კომისიის მდივანმა, ტარიელ გოგიტიძემ, დამსწრე საზოგადოებას გააცნო კანონმდებლობით დადგენილი 5%-იანი საარჩევნო ბარიერ გადალახული საარჩევნო სუბიექტები, მიღებული პროცენტი და მანდატების რაოდენობა.

№4 კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა 8.4% 1 მანდატი

№5 „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ 14.26% 4 მანდატი

№9 „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“ 6.32% 1 მანდატი

№25 „გახარია საქართველოსთვის“ 8.63% 2 მანდატი

№41 ქართული ოცნება 57.45% 13 მანდატი

საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ და კომისიის მდივანმა, ტარიელ გოგიტიძემ ხელი მოაწერეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

(არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმი თან ერთვის)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, საარჩევნო პროცესში ჩართულ ყველა მხარეს - უსკოს წევრებს, უსკოს აპარატის ყველა თანამშრომელს, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებს მადლობა გადაუხადა გაწეული სამუშაოს შესრულებისთვის, რომელიც მათ გაწიეს საარჩევნო პერიოდში.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	**პარმენ ჯალაღონია**
კომისიის მდივანი	**ტარიელ გოგიტიძე**